

მაია კიკნაძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
დადგენილება თეატრების რეპერტუარის
გაუმჯობესების შესახებ**

*საკვანძო სიტყვები: საბჭოთა, პარტიული წესები, ცენზურა,
სათეატრო პოლიტიკა*

1946 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ გამოსცა ბრძანება N470 „თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ბრძანება ითვალისწინებდა თბილისის წამყვან თეატრებში სარეპერტუარო პოლიტიკის გადახედვას და მასში ცვლილებების შეტანას. ცხადია, რომ ცვლილებებს თავად სამმართველო განსაზღვრავდა. პარტიის მხრიდან თეატრებისადმი ინტერესი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა თეატრის მნიშვნელობას საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდის საქმეში. აღნიშნული დოკუმენტი, პირველ რიგში, ასახავდა ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესებს, რომელშიც კარგად იკითხებოდა პარტიის სათეატრო პოლიტიკა, მისი მოთხოვნები, ეპოქის სულისკვეთება და ამ ეპოქაში ქართული თეატრის ბედი. 4 ოქტომბრის ბრძანებით, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი შადური მიუთითებდა თეატრებს, რეპერტუარიდან ამოეღოთ „იდეურად და მხატვრულად შეუფერებელი პიესები“: კარლო კალაძის „ერთი ღამის კომედია“, გენო ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“, გრიგოლ ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, „დასასარულის დასაწყისი“, ნატან რიბაკისა და ივორ სავჩენკოს „თვითმფრინავი იგვიანებს“, ბრაიტონის „სრულ შუალამეს“, ხელმანის „მელიები“, ბენეტის „რატომ სდუმდა“, პინეროსის „სახიფათო ასაკი“, ბარსელიანის „სომეხი ქალი“, მიქაელიანის „ვარაზდატი“.¹

1 კრებული, 1946, გვ. 4.

ჩამოთვლილი პიესებიდან, მხოლოდ ქართული პიესები იდგმებოდა წამყვანი თეატრების სცენაზე (1945–46 სეზონი), თუმცა არცერთი მათგანი არ იყო საეტაპო და მათი სადადგმო ხარისხიც არ იყო საუკეთესო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაყურებელი ჰყავდა. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად: კარლო კალაძის „ერთი ღამის კომედია“ ან გრიგოლ ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, 50-ჯერ მაინც იყო ნათამაშები. რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმში დაცული სარეპეტიციო ჩანაწერებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ სპექტაკლების შესახებ არ ყოფილა გამოთქმული რაიმე შენიშვნა ან მოთხოვნა რომელიმე ეპიზოდის შეცვლის თაობაზე, არც იდეოლოგიურ მხარეზე იყო რაიმე მინიშნება. მხოლოდ რამდენიმე ჩანაწერი არსებობს საკვანძო სიტყვები: თეატრი, თოლია, ინტერპრეტაცია, ტრეპლევი, ზარეჩნაია, არკადინა, ტრიგორინი. „წარმოდგენა როგორც მხატვრულად ისე ტექნიკურად ჩატარდა სრულიად უნაკლოდ“ („დასასრულის დასაწყისი“). გვხვდება შენიშვნაც, რომელიც მხოლოდ ტექნიკურ მხარეს ეხება, რისი გამოსწორებაც შესაძლებელი იყო. მაგალითად: „ტირიფის“ ხისა და „ატმის“ ხეების სცენაზე ამ სახით გამოტანა აღარ შეიძლება“. სპექტაკლ „ერთი ღამის კომედიის“ პირველ მოქმედებაში, სუსტი ყოფილა სინათლე და სხვა.

აღნიშნული სპექტაკლები დადგმიდან დიდი ხნის შემდეგ მოიხსნა. თუ რატომ? ზუსტად პასუხის გაცემა ძნელია, თუმცა არსებული მასალების შეჯერებისა და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლებელია გარკვეული პასუხების პოვნა. ყველასათვის ცნობილია, თუ რა როლს თამაშობდა ხელოვნების საქმეთა სამმართველო თეატრის ცხოვრებაში. ის არა მარტო თვალყურს ადევნებდა მათ მუშაობას, არამედ უშუალოდ ერეოდა შემოქმედებით პროცესში. სპექტაკლებს, რომლებიც თეატრში დიდი ხანი იდგმებოდა, რამდენიმე ეტაპი უკვე ჰქონდა გავლილი საკვანძო სიტყვები: თეატრი, თოლია, ინტერპრეტაცია, ტრეპლევი, ზარეჩნაია, არკადინა, ტრიგორინი. პიესის განხილვა, რეპერტუარის დამტკიცება, სპექტაკლის ჩაბარება. მაშ რამ გამოიწვია სპექტაკლების მოხსნა, რატომ შეიცვალა ვითარება? თუმცა, ფაქტია, რომ ამ აკრძალვებს თავისი მიზეზები გააჩნდა. უნდა ვიფიქროთ, რომ პარტიამ წესები გაამკაცრა, რის გამოც დაიწყო თანამედროვე თემაზე უკვე დადგმული (ანუ პარტიისგან მოწონებული) სპექტაკლების რევიზია, რამაც გამოიწვია ზოგიერთი სპექტაკლის აკრძალვა.

ამ აკრძალვას ოთხი სპექტაკლი შეეწირა: კარლო კალაძის „ერთი ღამის კომედია“, გენო ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“, გრიგოლ ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“ და „დასასრულის დასაწყისი“.

კარლო კალაძის პიესა „ერთი ღამის კომედია“ 1945 წლის 29 მაისს რუსთაველის თეატრში დაიდგა (რეჟისორი – დიმიტრი ალექსიძე, მხატვარი – ელენე ახვლედიანი) ცნობილი მსახიობების თამარ ჭავჭავაძისა (სულიკო) და აკაკი ვასაძის (დათუნა) მონაწილეობით. გაზეთმა „კომუნისტმა“ სპექტაკლს დადებითი წერილი მიუძღვნა. რეცენზენტი აქებდა მსახიობთა შესრულებას, თამარ ჭავჭავაძის ბუნებრივ თამაშს, აკაკი ვასაძის ვირტუოზობას, „გმირის თვისებათა ყოველ დეტალს, ფსიქოლოგიურ ნიუანსს მსახიობი სრულყოფილ დახვეწამდე ამუშავებს. აკაკი ვასაძე როლის გახსნით დიდ დამაჯერებლობას აღწევს. განსაკუთრებით ძლიერია მსახიობი დივერსანტების შეპყრობის სცენაში და ფინალში“.¹ სტატიის ავტორი არც სხვა მსახიობებს აკლებდა ქებას (კობალაძე – არჩილი, მიხეილ ჩიხლაძე – ბაადური, რომელმაც მიმზიდველად გადმოგვიშალა დარბაისელი ქართველის გულღია პატიოსანი ადამიანის ბუნება სტეფანე ჯაფარიძე – მეტყვევ ბუხუტი ახვლედიანი, გიორგი გეგეჭკორი – ჩიტირეკია, ფელიკო ჭანტურია – ჟუჟუნა, ლუბა ფოჩხუა – ია, რუსუდან ბერიძე – ჩიტოლია, ვუკოლი კინწურაშვილი – ლევანი). სპექტაკლის შესახებ დადებითად საუბრობდა ბესო ჟღენტცი. კრიტიკოსი ხაზს უსვამდა ელენე ახვლედიანის სცენოგრაფიას, მუსიკოს გულბათ ტორაძის, მსახიობ აკაკი ვასაძის ნამუშევრებს. შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლის სამემსრულებლო დონე არ იძლეოდა მისი რეპერტუარიდან ამოღების საბაბს. პრობლემა, როგორც ჩანს, პიესის შინაარსი იყო, რომელიც, ერთი შეხედვით, საცხებით შეესაბამებოდა საბჭოთა დრამატურგიის თემატიკას. პიესაში მოქმედება 1942 წელს ხდება. მასში გადმოცემული ამბავი ერთ-ერთი სოფლის ყოფა-ცხოვრებას ასახავს, თუმცა სოფლის ყოველდღიური ცხოვრების ფონზე კარგად ჩანს თუ რა უჭირს ქვეყანას, რომ ქვეყანაში ომია. საბჭოთა ჯარები კავკასიაში გმირულად უტევენ, სოფლიდან წასულია ორი ახალგაზრდაც, რომლებიც იბრძვიან ფრონტზე...

1946 წლის 9 ივლისს, თბილისში ჩატარდა თეატრალური საზოგადოების მეორე პლენუმი (მეორე სხდომა). სხდომა მიეძღვნა 1945-1946 წლების ქართულ დრამატურგიაში მიმდინარე პროცე-

¹ ბახტურიძე, რუსთაველის, 1945.

სებს. გამომსვლელებმა (სიმონ მთვარაძე, ვასო პატარაია, კარლო კალაძე, აკაკი ფაღავა, აკაკი ხორავა და სხვები) დიდი ყურადღება დაუთმეს ქართულ დრამატურგიაში არსებულ პრობლემებსა თუ ნაკლოვანებებზე მსჯელობას. განიხილეს აღნიშნული ქართული პიესებიც, რომლებიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ იყო აკრძალული. პლენუმზე საანგარიშო მოხსენებით „დრამატურგია განვლილ სეზონში“ გამოვიდა კრიტიკოსი ბესო ჟღენტის. მან თავის მიმოხილვაში, სხვა პიესებთან (გიორგი შატერაშვილის „ფიქრის გორა“, სერგო კლდიაშვილის „ირმის ხევი“, სიმონ მთვარაძის „სახსოვარი“, ვიქტორ გაბისკირიას „მარტოსული“ და სხვა) ერთად, ისაუბრა აღნიშნული პიესების დადებით და უარყოფით მხარეებზე. კარლო კალაძის პიესაზე „ერთი ღამის კომედია“ ბესო ჟღენტმა თქვა: „პიესაში ასახული მოვლენები ემსახურება ჩვენი დიდი სინამდვილის ასახვას, თუმცა მთელ რიგ შემთხვევაში ვერ გადმოგვცემს სწორად სოფლის ცხოვრებას, უფრო მეტად პირადული განწყობა იქმნება, ვიდრე ის, რაც უნდა იყოს ომის წლებში“.¹ კრიტიკოსმა შენიშვნაში იგულისხმა პიესის სიუჟეტში ომის თემის, სოფლის საბრძოლო სულისკვეთების და საომარი განწყობის ზედაპირული ჩვენება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბესო ჟღენტმა აღნიშნა, რომ „რამდენიმე პერსონაჟის კოლორიტი უფლებას აძლევს იყოს რეპერტუარში“. მიუხედავად ამისა, სპექტაკლი ერთი წლის შემდეგ მოხსნეს. მოხსნის მიზეზი არავის დაუკონკრეტებია, არც მხატვრულ ღირებულებაზე იყო რაიმე მინიშნება. ბრძანებაში მხოლოდ ზოგადი განმარტება იყო: „მორალურად და მხატვრულად შეუფერებელი“. ვერავინ იფიქრებდა, რომ ოფიციალურ ნებართვით დადგმული სპექტაკლი, იმავე ოფიციალურ ბრძანებით მოიხსნებოდა. მოხსნის მიზეზი კი, როგორც ჩანს, თეატრის რეპერტუარზე გამკაცრებული კონტროლი იყო, ვინაიდან მოსკოვის საკავშირო 26 აგვისტოს დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“, ახალი გამოქვეყნებული იყო. თბილისში ძალიან ფრთხილობდნენ, ემინოდან, რომ საბჭოთა თემაზე დადგმული სპექტაკლი მაყურებელზე ვერ ახდენდა განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას. ის რომ მოქმედება პიესაში 1942 წელს ხდება, მაგრამ არ არის წარმოდგენილი საომარი სულისკვეთება და მეტი ყურადღება ეთმობოდა სოფლის ცხოვრების ამბავს, ვფიქრობ, შემდგომ ამას მიაქცევს ყურადღება. ამის

1 საქართველოს, მწერალთა, ფონდი 21, ანაწერი 1, საქმე 9.

თქმის საფუძველს თავად ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოხსენება გვაძლევს. სამ ოქტომბერს ჩატარებული ხელოვნების სამმართველოს კრებაზე, შადურმა გააკრიტიკა კარლო კალაძის პიესა, მან კერძოდ თქვა: „ამ პიესაში ყალბად არიან დანახულნი საბჭოთა ადამიანები. პიესა ეხება სამამულო ომის პერიოდს, მიუხედავად ამისა, არ არის ნაჩვენები გმირობა და პატრიოტიზმი, ფანდურისა და ღრეობის ხმები ისმის“.¹

კარლო კალაძის პიესა „ერთი ღამის კომედიის“ შემდეგ, რუსთაველის თეატრმა მორიგი პრემიერა შესთავაზა საზოგადოებას – გრიგოლ ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, რომელიც 1945 წლის 27 ივნისს დაიდგა (რეჟისორი – სერგო ჭელიძე, მხატვარი – კორნელი სანაძე, კომპოზიტორი – იონა ტუსკია). მოგვიანებით ეს სპექტაკლიც აკრძალულთა კატეგორიაში მოხვდა. რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმში, სპექტაკლის ირგვლივ ჩანაწერები არ მოიძებნება, მაგრამ საბედნიეროდ, ეროვნულ არქივში დაცულია თეატრალური საზოგადოების პლენუმის სტენოგრაფიული ოქმი, რაც გარკვეულწილად საშუალებას გვაძლევს მცირე დასკვნები მაინც გამოვიტანოთ სპექტაკლის აკრძალვის გამომწვევ მიზეზებზე.

გრიგოლ ბერძენიშვილის პიესა „ტირიფის ქვეშ“, როგორც ჩანს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ვინაიდან საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ჭიათურა, ხარაგაული, ყვარელი, ფოთი და სხვა) იდგმებოდა. კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა პიესა შეაფასა, როგორც „საბჭოთა დრამატურგიის დაბალი დონე, ვინაიდან მთავარი გმირები სიყვარულის, მეგობრობის საკითხში იქცევიან ისე, როგორც არ შეეფერება საბჭოთა ადამიანის მორალურ შეგრძნებებს... გაუმართლებელია საქციელი მეგობრის, რომელიც სარგებლობს შემთხვევით და მის საცოლეს ეპატრონება იმ დროს, როდესაც მეგობარი ფრონტზეა და სამშობლოს იცავს... ასეთი საქციელი არ შეეფერება საბჭოთა ადამიანის მორალურ შეგნებას... ჩვენი მაყურებელი ვერ შეეგუება მორალური შეგნების გაყალბებას“.²

მოყვანილი მაგალითი – ერთი მეგობრის არამეგობრული დამოკიდებულება მეორე მეგობრის მიმართ, რასაკვირველია, არ იწვევს სიმპათიას, მაგრამ მისი საქციელი ზოგად ადამიანური ღირებულებებით კი არ შეფასდა, არამედ საბჭოთა პარტიული ხედვიდან იყო ნაკარნახევი. საბჭოთა ადამიანის მორალური სახე მაყუ-

1 გამეთი ლიტერატურა, საქართველოს, 1946.

2 საქართველოს, მწერალთა, ფონდი 21, ანაწერი 1, საქმე 9.

რებელს ყოველთვის სპექტაკი უნდა ენახა, მისაბადი რომ ყოფილიყო საზოგადოებისათვის. ამ შემთხვევაში, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ პერსონაჟის მორალური მხარე იყო მთავარი მიზეზი, რამაც სპექტაკლის მოხსნა გამოიწვია.

გრიგოლ ბერძენიშვილის მეორე პიესაც ვერ ასცდა ცენზურის მარწუხებს. სპექტაკლი „დასასრულის დასაწყისი“ 1946 წლის 10 ივლისს რუსთაველი თეატრში დაიდგა (რეჟისორი – აკაკი ვასაძე, სერგო ჭელიძე, მხატვარი – დიმიტრი თავაძე). რამდენიმე თვეში რეპერტუარიდან ამოიღეს. (რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმში, შემორჩენილია მხოლოდ სპექტაკლის ჩაცმულობის, რეკვიზიტის, ფეხსაცმლის აღწერილობის ჩანაწერი). სპექტაკლის სიუჟეტი 1942 წელს აფხაზეთის სოფელში ხდება. ისტორიიდან ცნობილია, რომ ამ დროს სტალინმა ლავრენტი ბერია გააგზავნა კავკასიის ფრონტზე. მართალია, ბერია არ ჩანს პიესაში, მაგრამ იგულისხმება. პიესა მთავრდება წითელი არმიის იერიშზე გადასვლით. პიესა თავისი მხატვრული ღირებულებით ვერ შეესაბამება ავტორის მიერ არჩეულ თემას. სპექტაკლს, როგორც ჩანს, აკლდა სიმწვავე, საბრძოლო სულისკვეთება.

რეპერტუარიდან ამოსაღები სპექტაკლებიდან, სამი რუსთაველის თეატრში დაიდგა, ერთი კოტე მარჯანიშვილის თეატრში. გენო ქელბაქიანის პიესამ „შესაფერი ჯილდო“ (დაიდგა 1945 წლის 30 დეკემბერს. რეჟისორი – პიერ კობახიძე, მხატვარი – ია იაკაშვილი, კომპოზიტორი – არჩილ კერესელიძე) თეატრალური საზოგადოების სხდომაზე ყველაზე დიდი კამათი გამოიწვია. პიესაც დაიწუნეს და ავტორის გამოსვლაც გააკრიტიკეს (გენო ქელბაქიანის გამოსვლა სტენოგრაფიაში ფიქსირდება, ხოლო ტექსტი არ არის). კერძოდ, პიესის შესახებ ითქვა: ამ პიესას არც მორალი და არც აზრი არ გააჩნიაო, პიესა უაზრო შეკოწიწებულ მელოდრამასა და ვოდენილის ნარევს წარმოადგენსო, ამ პიესაზე დიდი დრო დაიხარჯა, ის დადგა მარჯანიშვილის თეატრმაო და სხვა. პიესის დაწუნების ძირითადი არგუმენტი აქაც საბჭოთა მორალის არასწორად ჩვენება იყო, მაგრამ საქმე აქ უფრო რთულდებოდა, ვინაიდან ომის გმირს ეხებოდა. მთავარი გმირი ვალიკო ნებაძე ცოლ-შვილს ღალატობს, სხვა ქარაფშუტა ქალს ირთავს და მასთან ერთად უდარდელად ცხოვრობს. როდესაც ომი დაიწყება, სამშობლოს დაცვას გადაწყვეტს. ფრონტზე წასული ვალიკო წერილს არ იწერება. მეორე ცოლმა ლამარამ ჩათვალა, რომ ვალიკო მოკვდა და კვლავ

საქმროს ეძებდა. ყოფილი ცოლი ელენე კი მისი ერთგული რჩე-
ბა და ხელახალ გათხოვებაზე უარს ამბობს. ერთ დღეს ლამარა
ვალიკოსგან იღებს წერილს, რომ ის თბილისშია. დაჭრილია, თან
ორივე ფეხი მოაჭრეს და შველა უნდა. ვალიკოს დაჭრის ამბავს
იგებს მისი ყოფილი ცოლიც და შვილთან ერთად მიდის ელენეს-
თან, რათა გაიგოს ვალიკოს ამბავი. მეორე ცოლს, ლამარას, არა-
ფერში სჭირდება ხეიბარი ვალიკო, ამიტომ უთმობს ელენეს მო-
სავლელად. ამ დროს ჩნდება ვალიკო, რომელმაც გაიგო ლამარას
გათხოვების სურვილი და მისთვის გამოსაცდელი წერილი დაწე-
რა. სინამდვილეში, ის ჯანმრთელია და უფრო მეტიც, ომში გამო-
ჩენილი ვაჟკაცობისთვის ბევრი მედალი დაიმსახურა. საბოლოოდ,
ვალიკო ხვდება თავის შეცდომას, მოხვევს ცოლ-შვილს ხელს და
სახლში წაიყვანს. პიესაში, ნათელია, რომ ვანიკოს სახე არ იყო
საბჭოთა მორალური კრიტერიუმებით წარმოდგენილი. პიესის
დაწუნების საბაბიც ვალიკოს პერსონაჟთან იყო დაკავშირებული.
კამათი გამოიწვია ვალიკოს გადაწყვეტილებამ, სამშობლოს დასა-
ცავად ფრონტზე წასულიყო, ვინაიდან საბჭოთა იდეოლოგიიდან
გამომდინარე, ვალიკოს გმირობა შეუსაბამო იყო ცოლ-შვილის
მოღალატე კაცის ბუნებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ვალიკომ
ბოლოს თავისი საქციელი ინანა და ცოლ-შვილს შეურიგდა, მაინც
მისი პერსონაჟი მორალურად მიუღებელი დარჩა პარტიისთვის. იმ
შემთხვევაში, თუ ვალიკო ცოლ-შვილს არ უღალატებდა და ომის
გმირიც გახდებოდა, მაშინ პარტიის შექებასაც დაიმსახურებდა.

პერსონაჟის ხასიათი უნდა ყოფილიყო დამაჯერებელი და
თანმიმდევრული, ვინაიდან საქმე ეხებოდა არა უბრალოდ საბჭო-
თა ადამიანს, არამედ სამამულო ომის საბჭოთა გმირს, რომელიც
ზნეობრივად მისაბაძი უნდა ყოფილიყო. ქელბაქიანის პიესის მი-
ხედვით ისე გამოვიდა, თითქოს „სამამულო ომის გმირობა არც თუ
ისე დიდი საქმე ყოფილა, არც დიდი ზნეობა, არც დიდი გონიერება
და ნებისყოფა ყოფილა საჭირო. იქნებ ავტორს უნდოდა ეჩვენებინ-
ა, რომ გარდაიქმნა ომში გმირად მდაბალი ადამიანი... არა, არც
ბოლო სცენა ვარგა მისი ლამარასთან. თუ უყვარდა, იქნებ იმის-
განაც მოესმინა ახსნა. არა, საბჭოთა ადამიანები ასე იოლად არ
სწყვეტენ ოჯახურ ურთიერთობას, სიყვარულის საკითხს. საბჭოთა
თეატრს არ უნდა ეცალოს „შესაფერი ჯილდოს“ მსგავსი პიესების-
თვის“.¹

¹ ჟღენტ, ლიტერატურა, 1946, N18, გვ. 2.

სპექტაკლი დადგმიდან, რამდენიმე თვეში მოიხსნა, არც ამ შემთხვევაში იყო რაიმე განმარტება გაკეთებული. მაგრამ ცხადია მოხსნის მოტივაცია. სპექტაკლში არ იყო ნაჩვენები საბჭოთა გმირის წესიერი სახე. მისი უზნეო ცხოვრება და შემდეგ გმირად გახდომა, არ იყო დამაჯერებელი, რაც მიუღებელი იყო საბჭოთა მაყურებლისთვის.

ამ პერიოდის ქართულ თეატრში ბევრი სუსტი სპექტაკლი იდგმებოდა, მაგრამ რეპერტუარიდან არ ხსნიდნენ. ამ შემთხვევაში კი საქმე გვქონდა თანამედროვე საბჭოთა პიესებთან, რომელთა მიმართაც ცკ-ს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. პიესაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესს, მორალურ მხარეს, რაც თეატრს უნდა გაეთვალისწინებინა.

4 ოქტომბრის ბრძანების მიხედვით, პარტია მოითხოვდა, რომ თანამედროვე ცხოვრების ამსახველ სპექტაკლებზე საუკეთესო რეჟისორებს, მხატვრებს, მსახიობებს ემუშავათ. მომავალი 1947 წლისთვის კი, დრამატურგებს უნდა შეექმნათ იდეურად და მხატვრულად მაღალი ღირებულების 6-7 ქართული ორიგინალური პიესა. შეკვეთილ პიესებს კი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ შედგენილ კომისია (სათეატრო განყოფილების უფროსი – გუგული ბუხნიკაშვილი (თავმჯდომარე), რეპერტკომის უფროსი – ბენაშვილი და მწერალთა კავშირის დრამატული სექციის ხელმძღვანელი – იონა ვაკელი) გააკონტროლებდა. ბრძანების მოთხოვნით, საბჭოთა შინაარსის პიესებზე, ძირითადად უნდა ემუშავათ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში – წამყვან თეატრებში. აქედან გამომდინარე, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, აკაკი ვასაძეს და მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, შალვა ღამბაშიძეს უნდა ემუშავათ იმ დრამატურგებთან, რომლებსაც დადებული ჰქონდათ ხელშეკრულება ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან, რათა დაეწერათ თანამედროვე შინაარსის პიესები. აკაკი ვასაძეს – დრამატურგებთან: ალექსანდრე სამსონიასთან, კარლო კალაძესთან, სერგო კლდიაშვილთან, ვანიონ დარასელთან, დავით კასრაძესთან. შალვა ღამბაშიძეს კი – პოლიკარპე კაკაბაძესთან, ვიქტორ გაბისკირიასთან, გრიგოლ შატბერაშვილთან, ვასო პატარაიასთან და ალაძესთან. ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო, ვინაიდან პიესების ხარისხსა და იდეოლოგიურ მხარეზე სამხატვრო ხელმძღ-

ვანელები აგებდნენ პასუხს. სამხატვრო ხელმძღვანელების ასეთი აქტიური ჩართვა პიესის წერის პროცესში გამოწვეული იყო პარტიის მხრიდან „სწორი იდეოლოგიური“ ხაზის გატარების მოთხოვნით. მხოლოდ საბჭოთა თემატიკაზე დაწერილი პიესა იყო განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ. მოთხოვნა მოთხოვნად რომ არ დარჩენილიყო და სასურველი შედეგიც მიეღოთ, გაკონტროლების კიდევ ერთი მექანიზმი შემუშავდა. სამხატვრო ხელმძღვანელებს ყოველი თვის 15 რიცხვში სამმართველოსათვის უნდა მოეხსენებინათ, თუ როგორ მიდიოდა პიესებზე მუშაობა. თეატრის დირექტორებს კი ეკრძალებოდათ სარეპერტუარო გეგმით გაუთვალისწინებელი პიესების დადგმა და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ნებადაურთველად ცვლილებების შეტანა რეპერტუარში. ეს იყო სამმართველოს მკაცრი მოთხოვნა და ვინც ამ წესს დაარღვევდა – „დაედებოდათ დისციპლინარული სასჯელი თანამდებობიდან მოხსნამდე, როგორც ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის დამშვებთ“.¹

თბილისის თეატრების გარდა, ყურადღება მიექცა რაიონულ თეატრებსაც. რაიონულ თეატრებშიც უნდა მომხდარიყო რეპერტუარის გაწმენდა. თანამედროვე შინაარსის საბჭოთა პიესების შექმნა მათთვისაც სავალდებულო იყო. ეგრეთ წოდებული მეორე ჯგუფის თეატრებს: მოზარდ მაყურებელთა, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის თეატრებს უნდა წარედგინათ ანგარიში, თუ რომელ დრამატურგებთან რა თემებზე იმუშავებდნენ. საბჭოთა თემაზე დაწერილი პიესების შექმნა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მწერალთა კავშირის წინაშე დასვეს საკითხი, თანამედროვე პიესების შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ, არა მარტო დრამატურგებს, არამედ სხვა ჟანრის მწერლებსაც.

თეატრების მუშაობისთვის თვალყური უნდა ედევნებინა სათეატრო განყოფილების უფროს ბუხნიკაშვილს, რომელიც შემდეგ ამ მუშაობის შესახებ წერილობით მოახსენებდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს შადურს.

აღნიშნული ბრძანებები და დებულებები ქმნიდნენ მნიშვნელოვან დოკუმენტს მე-20 ს-ის 40-იანი წლების ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ვიმსჯელოთ ამ პერიოდის ქართული თეატრისა და საზოგადოდ ხელოვნების განვითარებაზეც.

¹ კრებული, 1946, გვ. 8.

ბიბლიოგრაფია:

1. ბახტურიძე პ., რუსთაველის თეატრის დადგმა, გაზ. კომუნისტი 1945, 17 ივნისი, N119;
2. გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, N40, 11 ოქტომბერი, საქართველოს თეატრების, ხელმძღვანელი მუშაკების და კრიტიკოსთა რესპუბლიკური თათბირი;
3. კრებული დადგენილებები და განკარგულებები, თბ., 1946, N1;
4. ჟღენტი ბ. შესაფერი ჯილდო მარჯანიშვილის თეატრში, გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, 26 აპრილი, N18;
5. საქართველოს ეროვნული არქივი, მწერალთა კავშირის ფონდი – 21, ანაწერი – 1, საქმე – 9;
6. შადური რ. საბჭოთა საქართველოს ხელოვნების ამოცანები, გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, 1 ივნისი, N23.

Maia Kiknadze,
Doctor of Arts, Associate professor at Shota Rustaveli theatre
and film Georgia State University

RESOLUTION ON ENHANCEMENT OF THEATERS' REPERTOIRE
APPROVED BY ARTS DEPARTMENT OF THE BOARD OF MINISTERS
OF SOVIET SOCIALIST REPUBLIC OF GEORGIA

Abstract

Keywords: Soviet, party rules, censorship, theater policy

In October 14, 1946 Arts Department of the Board of Ministers of Soviet Socialist Republic of Georgia issued an order „on drama theaters' repertoire and its enhancement“. The order clearly revealed even the mistakes found in the Georgian theaters and the ways of its resolution.

Pursuant to the order was considered review and amendment of repertoire policy at Tbilisi leading theaters. The amendments were itself determined by the department. Communist Party used to focus special attention to theaters on the role and importance of theater in the promulgation of soviet ideology. The document clearly revealed party's theater policy, their request and aspiration of soviet era.

Pursuant to the order the theaters had to remove from the repertoire some ideologically and artistically improper plays, including 4 plays from Georgian dramaturgy: „One Night Comedy“ by K. Kaladze, „Proper Reward“ by G. Kelbakiani, „Under the Willow“, „Beginning of the End“ by G. Berdzenishvili. Performances for a long time were staged at the leading theaters, some of them were plaid even 50 times, though later the Arts Department of the Board of Ministers of Georgia decided to remove these performances. Then we have a question? Why had been prohibited these performances, long time after the first performance? Or why had the requirements been changed? It is hard to have exact answer to this question, but based on the materials, documents and political framework enable us to make certain conclusions.

In the soviet era the theaters were managed by state that provided finances and at the same time controlled them through special department. This was Arts Department that was not only supervising the work of theaters, but directly participating in the creative process. The performance for long staged at the theater had already passed censorship. Though, as it seems the party more strengthened the rules later. In Tbilisi they launched revision of performances already staged/so called approved by party on modern topic that stipulated prohibition of some performances. The reason of prohibition specific performances by Arts Department was not noted in the resolution; only general phrase was mentioned on all four performances: „ideologically and artistically improper“. So, we have to try to find the principal reason on removal of performances from the repertoire in the contents of plays that was not thematically right and some characters were inconsistent with the soviet moral values. For example, the main character of „Proper Reward“ by G. Kelbakiani, who became famous in the II World War and even got the title of soviet hero, was not able to regulate his personal life, betrayed his wife, left child and went to another woman. Based on soviet moral this character was a negative hero. And the negative hero would not be homeland defender, patriot. If not leaving his family, his deed would be considered as a self-sacrifice to homeland and praiseworthy for the party. The nature of character in the play had to be persuasive as the case related not only to the soviet citizen, but to the soviet hero, who should be a right and ethical person, in order to be a role model for the spectator.

What about the second play, „One Night Comedy“ by K. Kaladze /staged in 1945/ it had also passed censorship, though after passing certain period was ordered removal of the performance. The reason of performance's removal was stipulated by the contents of the play. The action in the play takes place in 1942. The story mentioned in it represents the life of one of the Georgian villages that does not narrate the story about the war that was the reason of performance's prohibition. The bases of its statement is itself the report made by the head of Arts Department. At the meeting of Arts Department held in October 3, himself head of Arts Department, Shaduri criticized the

play and noted that „soviet citizens are spuriously found in the play. The play relates to the period of Patriotic War, where is not reflected heroism and patriotism“.

As it seems, the reason of removal and enhanced monitoring of performances was stipulated by the resolution published in August 26, 1946, Moscow „on drama theaters’ repertoire and its enhancement“. They were very careful in Tbilisi, frightened that the performances staged on soviet topic would not especially impress the spectator.

Many feeble performances used to be staged at that time Georgian theater, though they were not removed. Special attention used to be paid only to modern soviet plays that had to play the role of propaganda and facilitate in the development of soviet ideology and country’s socialist system.

Pursuant to the order the department required employment of the best stage directors, artists and actors/actresses for the performances reflecting the modern life in order to have staged highly artistic and ideologically proper performance. The Georgian playwrights had to create the plays acceptable for soviet ideology. These plays would be controlled by the special commission established by Arts Department. In accordance with the order the leading Tbilisi theaters/Rustaveli Theater, Marjanishvili Theater and art directors of these theaters had to be involved in staging plays on soviet topic. They had to cooperate with specific playwrights, who were writing plays for their theaters. It was required quite a big responsibility, as the art directors were responsible for the quality and ideology of plays. Such an active involvement of art directors in the process of plays’ writing was stipulated by the requirement on following right ideological line by party. As noted above, the play written only on soviet topic required special observation.

In order not to have left the requirement alone and to have even desired result the Art Department had drawn out one more monitoring mechanism. Art directors had to report on the 15th day of each month on the course of work on plays. At the same time theater directors had no right to include plays in the repertoire not agreed with the department without their permission. Those, violating such a rule would have imposed disciplinary punishment before their dismissal

as anti-state practice admission.¹

Besides Tbilisi theaters, attention was paid even on regional/ peripheral/ theaters. Repertoire had to be improved even in regional theaters. They were also obliged to create soviet plays including modern contents.

These orders and resolutions were forming significant documents in the history of the 20th century 40s Georgian and generally, Soviet Union theaters and it is impossible to discuss development of that period Georgian theater and generally even about Georgian culture and art without its consideration.

Bibliography:

- Collection: resolutions and orders, Tbilisi 1946, #1.
- National Archives of Georgia, Writers' Union Foundation – 21, series – 1, case – 9.
- Newspaper, Literature and Art, 1946, #40, October 11. Republican Conference of Georgian Theaters, Directors and Critics.
- B. Zhghenti, appropriate award at Marjanishvili Theater. Newspaper, Literature and Art, 1946, April 26, #18.
- R. Shaduri Art Tasks of Soviet Georgia. Newspaper, Literature and Art, 1946, June 1, #23.
- P. Bakhturidze Performance of Rustaveli Theater, Newspaper Communist 1945, June 17, #119.

¹ Collection, 1946, p. 8.
